სსიპ-საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს

„აუდიტორული მომსახურებ"-ის შესყიდვის

CPV79200000

სატენდერო დოკუმენტაცია

დაფინანსების წყარო: არასაბიუჯეტო შემოსავლები.

სავარაუდო ღირებულება: 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12[1] მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი - 2012 წელი

სარჩევი

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები 3–4

2. ტექნიკური დავალება..... 5

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 6–8

4. დამატებითი ინფორმაცია 9

6. დანართი N2 10

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

2.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

1.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:

ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე - 2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის გათვალიწიენბული ეტაპის შემდეგ“.

ბ) ელექრონული ტენდერის შემთხვევაში - „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის“ მე - 2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის გათვალიწინებული ეტაპის შემდეგ“.

1.3. ამ პუნქტის 1.2. ქვეპუნქტისთ გათვალიწინებული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლები წარმოდგენილი უნდა იქნას შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრედენტენტებმა უნდა წამროადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორაგნოების მიერ გაცემული სკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

1.4. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2. ანგარიშსწორების პირობები:

2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებული შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალიწინებით.

2.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

2.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.5 პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს და სავალდებულო წესით უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) აუდიტორული კომპანიის ან აუდიტორის მინიმუმ 3 წლიან გამოცდილება.
ბ)პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს საქ. პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოდან (ან სხვა) გაცემული მომქმედი სერთიფიკატი (ლიცენზია).

2.6 მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) მომსახურება უნდა განხორციელდეს „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი აუდიტორული სტანდარტების, აუდიტორის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების, დებულებების და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

3. ტექნიკური დავალება:

3.1 სააგენტოში ჩატარებული ფაქტობრივი ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობის და დანაკლისის (სხვადასხვა დასახელებისა და ტიპის ქონების) აუდიტორიული შეფასების მომსახურების შესყიდვა ბალანსზე აყვანის მიზნით (იხ. დანართი N1, დანართი N2).

3.2 ქონება განთავსებულია შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი ჩარგლის ქ. N67, ქ. ფოთი 26 მაისის ქუჩა N7, ქ. ქუთაისი რუსთაველის 114ა, თელავი აღმაშენებლის შესახვევი ბ–ნ N7, ქ. გორი სამების ქ.

(იხ. დანართი N1).

3.3 აუდიტორული მომსახუირების სავარაუდო ღირებულებაა 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

3.4 მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

4. პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს:

4.1 რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, აუდიტორული საქმიანობის სერთიფიკატი (ლიცენზია).

4.2 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია : ტენდერში გამოყენებულ იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაღვრება მინიმუმ 30 კალენდარული დღით. ტენდერისათვის სტატუსის –„წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების ეტაპიდან.

5. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი

/ხელშეკრულების პირობები დაზუსტდება გამარჯვებულ კომპანიასთან/

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **----------წელი**

ერთის მხრივ, სსიპ - ,,საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი საფინანსო სამსახურის უფროსის სახით და მეორეს მხრივ, ----------(შემდგომში ,,მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ---------- სახით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი“ თანახმაა გაუწიოს შემსყიდველს: _____შემდგომში ,,მომსახურება“, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: _____ **ლარს.** (შემდგომში– ,,ხელშეკრულების ღირებულება“).

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

3.3 მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება დროული დახარისხიანი.

4.2. ,,შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს ,,მიმწოდებლის“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

4.3. ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ,,მიმწოდებელს“ მოსთხოვოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი მომსახურების მიმდინარეობის შესახებ.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 იმ შემთხვევაში თუ ,,მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურება დაწუნებულია ან ხარვეზებითაა შესრულებული, ,,მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით, წუნდებული ან ხარვეზიანი მომსახურების მაგივრად ხარისხიანი მომსახურების გაწევის დღემდე.

5.2 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და ,,მიმწოდებელზე“ დარიცხული პირსაგამტეხლოს თანხა.

5.3 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სრულად არ შესყიდვის შემთხვევაში ,,შემსყიდველს“ პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

6.ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი

6.1 ,,შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ,,მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2 ხელშეკრულების პირობების და სამუშაოს შესრულებაზე ინსპექტირებას „შემსყიდველის“ მხრიდან უზრუნველყოფს–_____

6.3 კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხიდან და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

7. შესყიდვების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 ,,მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე.

7.2 მომსახურების მიღების დროს აღმოჩენილი ხარვეზების შემთხვევაში ,,შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად აცნობოს ,,მიმწოდებელს“ სათანადო ხარვეზების შესახებ.

7.3 ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია 2(ორი) კალენდარული დღის განმავლობაში თავისი ხარჯებით გამოასწოროს ხარვეზი.

მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

7.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია _____

8. ფორს-მაჟორი

8.1 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ვალდებულებების შეუსრულებლობა არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებას, რომელიც არ არის დაკავშირებული მათ შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომელებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ემბარგოს დაწესებით და სხვა.

9. ხელშეკრულების პირობების შეცვალა, დავათა განხილვა

9.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალიწინებული შემთხვევისა.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.3 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს _____

11. ხელშეკრულების სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ - ,,საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“ ქ.თბილისი, ჩარგლის ქ. №67 საიდ.კოდი 200162224 ბანკი: ,,საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის № GE72TB1134636080100001	
_____	_____

6. დამატებითი ინფორმაცია:

6.1 *სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა #67, საკონტაქტო პირი: **თეა მაჭავარიანი. ტელ: 571 01 07 08 ელ.ფოსტა T.machavariani@geostm.ge***

დანართი #2

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი.

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა: სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

პრეტენდენტის ხელმოწერა_____
და ბეჭედი